თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

თამარ ჩახვაშვილის

ანგარიში

2024 (აგვისტო-ოქტომბერი)

საქმიანობის შესახებ ანგარიში მოიცავს 2024 წლის 29 ივლისიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდს.

- მე-7 მოწვევის საკრებულოში ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო''-ს წევრი და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე.
- ასევე, გახლავართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის და ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

საკრებულოს საქმინობაში მონაწილეობა

მაქვს პატივი, მონაწილეობა მივიღო დედაქალაქისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. წლიდან წლამდე, დედაქალაქის ბიუჯეტი იზრდება, რაც გვაძლევს საშუალებას, მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მოსახლეობის საჭიროებები. საანგარიშო პერიოდში უმრავლესობის წევრებმა მხარი დავუჭირეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, სატრანსპორტო თუ ინფრასტრუქტურული თუ სოციალური მიმართულებით.

- საანგარიშო პერიოდში, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა საკრებულოს 14 სხდომა, მიღებულ იქნა 675 განკარგულება და 113 დადგენილება.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -

თავმჯდომარის მოადგილე

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 29 წევრისგან შედგება. იგი საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შეიქმნა. ფრაქციის წესდების გათვალისწინებით, ფრაქციის სხდომა იმართება თვეში მინიმუმ ერთხელ. სხდომაზე განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, რის შემდეგაც მზადდება პოზიცია და რეკომენდაციები, რომელიც, შემდგომში საკრებულოს სხდომაზე, ერთიან, შეჯერებულ პოზიციაში გამოიხატება.

- საანგარიშო პერიოდიში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციამ ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო” ჩაატარა - 20 სხდომა, განხილულ იქნა 44 საკითხი. ვინაიდან, ფრაქციაში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ 2024 წლის 29 ივლისიდან გავწევრიანდი, დავესწარი ფრაქციის 5

სხდომას და განვიხილე 12 საკითხი, კერძოდ, საკრებულოს სხდომებზე განსახილველი და საკრებულოს კომისიების პერსონალურ შემადგენლობის შესახებ საკითხები.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია -

კომისიის წევრი

კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებადა ან წარმოდგენილ პროექტებზე დასკვნის მომზადება, რომელიც ეხება:

ა) დედაქალაქის ტერიტორიაზე მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას;

ბ) დედაქალაქის დროშის, ჰიმნის, გერბის და სხვა სიმბოლოების შექმნას, შემოღებას, მათ გამოსახვის ფორმებსა და აღწერილობებს;

გ) ჰერალდიკურ საკითხების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ხელშეწყობას;

საანგარიშო პერიოდში დავესწარი კომისიის 3 სხდომას, განვიხილე 53 საკითხი, რომელიც ეხებოდა გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას. ასევე, მონაწილეობა მივიღე ორ საჯარო განხილვაში

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია -

კომისიის წევრი

ქალაქ თბილსის ფინანსურ სისტემაში - საბიუჯეტო სისტემების შესახებ საკანონმდებლო ნორმატიული აქტების, ქალაქისა და რაიონების ბიუჯეტების ფორმირების, ფულადი სახსრების მობილიზაციის, ბიუჯეტის შემოსავლების მიზნობრივად განკარგვისა და სხვა საკითხებზე საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებისა და დასკვნების მომზადების მიზნით, რაც მიმართული იქნება დედაქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისკენ, შექმნილია საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს და შესაბამის დასკვნებსა და რეკომენდაციებს ამზადებს ისეთი მნიშვნელობის საკითხებზე, როგორიცაა:

1. საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტები,
2. თბილისის საფინანსო-საბიუჯეტო სისტემაში გასატარებელი ღონისძიებები და მოსალოდნელი შედეგები;
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი;.
4. ზღვრული განაკვეთის ფარგლებში ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლის დაწესება;
5. ადგილობრივი საკუთრების მართვა და განკარგვა, ამ საკუთრების შექმნის, შეძენის, იჯარის ან სხვა ფორმით სარგებლობაში გადაცემა და გასხვისების წესების დადგენა და სხვა.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ ჩაატარა 24 სხდომა, განხილულ იქნა 334 საკითხი. დავესწარი კომისიის 5 სხდომას და შევისწავლე 60 საკითხი. აღსანიშნავია, რომ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების პროექტის ფარგლებში, 173 ოჯახს სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაეცა ქონება. ასევე, კოოპერატიული და დაუსრულებელი ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დასახმარებლად მიღებული გადაწყვეტილებების ფარგლებში დაიწყო 6 ახალი სამშენებლო პროექტი.

ანგარიში 2024